საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვამეყ I დადიანი

ვამეყ I დადიანი, ოდიშის ერისთავი 1384–96, მანდატურთუხუცესი. ერთიანი საქართველოს მეფეებთან ერთად ებრძოდა განკერძოების მოსურნე იმერეთის მეფეებს. 1392 დაამარცხა იმერეთის მეფე გიორგი I, რ-იც ამ ბრძოლაში დაიღუპა. ვ. I დ-ის დახმარებით საქართვ. მეფე გიორგი VII-მ, თემურლენგის შემოსევათა მიუხედავად, დას. საქართველოში თავისი ძალაუფლება განამტკიცა. ვ. I დ-მა წარმატებით ილაშქრა ჯიქეთში და იქიდან წამოღებული მარმარილოს სვეტებითა და ფიქლებით ხობის ეკლესიას თავისი მშობლების საძვალე მიაშენა. მისივე თაოსნობით მოხატეს წალენჯიხის ეკლესია.

წყარო: ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის *გამოც.*, ტ. 4, თბ., 1973.

ლიტ.: თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ე., არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, ტფ., 1913; მ ა კ ა ლ ა თ ი ა ს., სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941.

თ. ბერიძე